

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM



ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია
2008

NOKALAKEVI'S ARCHAEOLOGICAL EXPEDITION

თბილისი – Tbilisi

2008

დ.ლომიტაშვილი, ნ.კებულაძე, მ.ბოკერია, ნ.მურგულია, მ. ზამათარაძე,
თ.კაპანაძე, ჯ.ტიმბი, ი.ქოლვინი, პ.ევერილი, ბ.ნილი, ქ.გრანტი, რ.კასიდი

D.Lomitashvili, N.Kebuladze, M.Bokeria, N.Murgulia, T.Kapanadze,
J.Timby, I.Colvin, P.Everill, B.Neil, K.Grant, R.Cassidy



ნოქალაქევის საერთაშორისო არქეოლოგიური
ექსპედიციის 2008 წლის ანგარიში

**The report of the International
Archaeological Expedition to Nokalakevi
2008**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

შინაარსი - CONTENT:

1. შესავალი (ქართ.)
Preface (geo.)
2. A თხრილზე წარმოებულ სამუშაოების ანგარიში (ქართ.)
The report of the field work on the Trench A (geo.)
3. A თხრილზე გამოვლენილი მასალის მიმოხილვა (ქართ.)
The review of the obtained material (geo.)
4. ნოქალაქევის სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიაში
2008 წლის ზაფხულში მიმდინარე პროექტები (ქართ.)
Projects those were run in 2008 in the restoration-conservation laboratory
at Nokalakevi (geo.)
5. ნოქალაქევის ექსპედიციის 2008 წლის პალეობოტანიკური კვლევის
ანგარიში (ქართ.)
The report of the paleobotanic research in 2008 (geo)
6. 2008 წლის სეზონზე ჩატარებული ტრენინგების მიმოხილვა
The review of the trainings in 2008s season
7. 2008 წლის გათხრების წინასწარული ანგარიში (ინგლ.)
Interim report on excavations in July 2008 (eng)
8. 2008 წლის სეზონზე აღმოჩენილი კერამიკის წინასწარული
ანგარიში (ინგლ.)
Interim report on the pottery from the 2008 season (eng.)
9. A თხრილის ოსტეოლოგიური შეფასება (ინგლ.)
Osteological assessment for Trench A (eng.)
10. დოქტ. რ.კასიდის ნოქალაქევში ვიზიტის მოკლე მიმოხილვა (ინგლ.)
Short review of Dr.R.Cassidy's visit in Nokalakevi (eng)
11. ომის გავლენა გათხრებზე (ინგლ.)
Excavation affected by war (eng)
12. ტაბულები
Graphics
13. კონსერვაცია-რესტავრაციის ბარათები (ქართ.)
Conservation-restoration report sheets (geo.)

შესავალი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ერთობლივმა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ*, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოები 2008 წლის 2 ივლისიდან 30 ივლისამდე აწარმოა.

ქართულ-ინგლისური პროექტი 2 ივლისს დაიწყო და 30 ივლისამდე ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში, „A“ თხრილზე (უბ. XXX კვ.F-2) ელინისტური ეპოქის კულტურული ფენებისა და სამაროვნის ერთი მონაკვეთის შესწავლით შემოიფარგლა.

2008 წელს განვითარებული არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად კვლავ საგანმანათლებლო-სატრენინგო პროგრამა რჩებოდა ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის. ჯგუფებად დაყოფილი საერთო რაოდენობა სტუდენტებისა მორიგეობით მეცადინეობებს გადიოდნენ საველე არქეოლოგიაში, პრევენციულ კონსერვაციაში, არქეობოტანიკაში (ფლოტაციის მეთოდით მუშაობა), რესტავრაცია-კონსერვაციაში, საქართველოს ისტორიაში, წყაროების მიხედვით ეგრისის ისტორიასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნაში (GPS-გამოყენება). ყველა ეს მიმართულება მყარ კოორდინაციას ეყრდნობოდა.

ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ განხორციელებული სამუშაოების სხვადასხვა ეტაპები 2008წწ. ანგარიშები სამი სხვადასხვა მოხსენების სახით იქნა საპრეზენტაციოდ წარმოდგენილი.

საანგარიშო პერიოდში ექსპედიციის მიერ, ნოქალაქევის მუზეუმის ბაზაზე ორგანიზებული იქნა, ინგლისური ენის შემსწავლელი, უფასო საზაფხულო სკოლის ფუნქციონირება ქ. სენაკის №7 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის.

მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში ინგლისური ჯგუფის ბოლო წევრმა დატოვა საქართველო და ქართული ჯგუფის შემადგენლობამ

* ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფ. დ.ლომიტაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), დოქტ. ბ.ლორთქიფანიძე (ექსპედიციის ხელ-ის მოადგილე), დოქტ. ნ.ქებულაძე (ქიმიკოს-რესტავრატორი), დოქტ. ზ.თვალჭრელიძე (არქეოლოგი), ნ.მურდულია (რაზმის უფროსი), დოქტ. მ.ბოკერია (არქეობოტანიკოსი), ნ.ძიგუა (ასისტენტი), მ.ზამთარაძე და დოქტ. თ.კაპანაძე, - კამერალური სამუშაოები, ვ. ყენია (კომპიუტერული უზრუნველყოფა), ი.ქოლენი (ოქსფორდის უნივერსიტეტი), ბ.ნილი (საუტკემპტონის უნივერსიტეტი), დოქტ. პ.ვეერილი (ბრედფორდის უნივერსიტეტი), დოქტ. ჯ.ტიმბი (არქეოლოგი), ქ.გრანტი და კ.რასელი (სუპერვაიზერები), სტუდენტები თბილისის სახელმწიფო და ბრიტანეთის უნივერსიტეტებიდან.

დაიწყო სამზადისი II ეტაპის განსახორციელებლად რაც დაზვერვებს ითვალისწინებდა მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახუნაოში, საქართველოში სრულიად გაუთვალისწინებელი მოვლენები განვითარდა. რუსულმა რეგულარულმა სამხედრო შენაერთებმა ბარბაროსული შეტევა განახორციელეს სუვერენულ ქვეყნაზე. რის გამოც II ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები გადავდეთ.

განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენი ინგლისელი კოლეგების მხრიდან არაერთი საპროტესტო წერილი და ქმედება იქნა განხორციელებული. ერთ-ერთი წერილი **“Archaeological excavation affected by war in Georgia”**, რომელიც დოქტორ პოლ ევერილის მიერ ვინჩესტერის უნივერსიტეტის ჟურნალში (www.winchester.ac.uk) დაიბეჭდა, ანგარშს თან ერთვის.

ქართულ-ინგლისური ექსპედიცია ნოქალაქევიში
2008 წლის სეზონის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში

ქართულ-ინგლისური ექსპედიცია ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს 2001 წლიდან აწარმოებს. განვლილი რვა სეზონის განმავლობაში არქეოლოგიური კვლევა ძიება მიმდინარეობს ნაქალაქარის ორ უბანზე – აღმოსავლეთ ჭიშკრის მიდამოებში (A თხრილი) და ორმოცმოწამეთა კვლესიის ჩრდილოეთით (B თხრილი).

2008 წლის სეზონზე ექსპედიციამ გათხრები მხოლოდ A თხრილზე (უბანი -



XXX; ნაქალაქარის კვადრატი – F-2; GPS კოორდინატები: N 42°21'26.1", E 42°11'44.5") აწარმოა. სამუშაოები 5 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა. გათხრები, ისევე როგორც წინა წლებში, სამეცნიერო კვლევა-ძიებასთან ერთად მოიცავდა სასწავლო კურსსაც, რომლის ფარგლებშიც სავსე არქეოლოგიის

1) **საველე ტერიტორიები**

3 კვირიანი კურსი გაიარეს ქართველმა და ბრიტანელმა სტრუდენტებმა, მათ ხელმძღვანელობას უწევდნენ, როგორც ქართველი არქეოლოგები (დ. ლომიტაშვილი, ნ. მურღულია), ისე, ბრიტანელი სპეციალისტები (პ. ვეერილი, ქ. გრანტი, კ. რასელი).

A თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

2008 წლის სეზონზე A თხრილზე ძირითადი სამუშაოები წინა ორი



სეზონის განმავლობაში გამოვლენილი ელინისტური ნაგებობების გაწმენდას და დაფიქსირებას დაეთმო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხრილზე მუშაობისას ძალიან შეგვიშალა ხელი ივლისის თვეში დაფიქსირებულმა ნალექიანმა ამინდებმა, რის გამოც სეზონის

2) **A თხრილი გათხრების დაწყებამდე**

განმავლობაში გაგვიცდა სრული სამი დღე, ასევე ძლიერი ატალახების გამო ორი დღე მოგვიწია შეფერხებით მუშაობა. გარდა უამინდობისა საერთო სამუშაო პერიოდიდან 4 დღე დაგჭირდა თხრილის სრულად ჩასახაზად (თხრილის ზომები: 11.0 მ X 13.0 მ). ასევე ორი დღე დასჭირდა სამუშაოების დაწყების წინ თხრილის გათავისუფლებას პლასტიკური საფარისგან და სეზონის ბოლოს მის ხელახლა დაფარვას ცელოფანის საფარით.

მიუხედავად იმისა, რომ დაახ. 10 დღის განმავლობაში თხრილზე გათხრების ჩატარება ვერ მოხერხდა, დანარჩენ პერიოდში წარმოებულმა სამუშაოებმა მაინც საინტერესო შედეგები მოიტანა, რომლის ანგარიშიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

1. წინა წლებში გამოვლენილი ელინისტური ნაგებობების გაგრძელებაზე



3) ელინისტური ნაგებობები A თხრილში

გამოიკვეთა ოთხი ახალი კედლის ფრაგმენტი, რომლებიც კავშირში უნდა იყოს აღნიშნულ ნაგებობებთან (იხ. 2006 და 2007 წლების A თხრილის ანგარიშები). მათი გამოვლენა იმითაც არის საინტერესო, რომ შესაძლოა ისინი წინა წლებში გამოვლენილი ნაგებობების ნაწილებს წარმოადგენდეს (სურ. 3).

2008 წლის სეზონზე გამოვლენილი ოთხი კედლის ფრაგმენტი (242, 243, 244, 245), ისევე, როგორც, წინა წლებში აღმოჩენილი ნაგებობები, საერთო სამშენებლო მახასიათებლებით გამოირჩევა (სურ. 4). ოთხივე კედლის ფრაგმენტი ნაშენებია უხეშად გათლილი,



4) 2008 წელს გამოვლენილი ელინისტური ნაგებობების მდებარეობა A თხრილში

კედლის ფლეთილი ქვით (მათი ზომები 10X15 სმ-დან 60X80 სმ-მდე მერყეობს), დუღაბი არც ერთ შემთხვევაში გამოყენებული არ არის, ფიქსირდება ქვების წყობის მხოლოდ ერთი რიგი, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს ქვის ერთ რიგიან საძირკველთან, რომელზეც

გამართული იყო თიხით შელესილი ხის ძელები.

გამოვლენილი კედლების ფრაგმენტულობის გამო რთულად დგინდება მათ შორის კავშირები, თუმცა დღეისათვის მცირე დასკვნების გაკეთების საშუალება



5) ელინისტური ნაგებობების საფარავლო ურთიერთმიმართება (I ფაზიანტი)

კედლები და ასევე თხრილი ჩრდილოეთ მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირებული კედლის კუთხის ნაწილი ერთი ნაგებობა უნდა იყოს (სურ. 5). აქვე თუ დავუშვებთ, რომ 2007 წლის სეზონზე A თხრილში გამოვლენილი (187)-



6) ელინისტური ნაგებობების საფარავლო ურთიერთმიმართება (II ფაზიანტი)


ე კედლის დაკარგული ნაწილი მის ჩრდილოეთით ვრცელდებოდა, გამოვა, რომ A თხრილში 2007 წელს გამოვლენილი (212)-ე და (230)-ე ელინისტური ნაგებობების გარდა გამოვლენილია კიდევ ორი ერთმანეთის პარალელური, დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის, მართკუთხა ფორმის ელინისტური ნაგებობის კვალი (სურ. 5). ასევე, დასაშვებია, რომ (187)-ე, (242)-ე, (244)-ე და (245)-ე კედლები ერთ მთლიან დიდ ნაგებობას ეკუთვნოდეს (სურ. 6). თუმცა აქვე ხასგაზმით უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობების გეგმარების ორივე ვარიანტი მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებია და შესაბამისად კონკრეტული დასკვნების გაკეთება ნაადრევია.

მაინც გვეძლევა. ახლად აღმოჩენილი კედლების ფრაგმენტები გვაფიქრებინებს, რომ მინიმუმ სამი მათგანი ერთი ნაგებობის ნაწილებს უნდა წარმოადგენდეს. კერძოდ, - თხრილის ჩრდილო მონაკვეთში, მის აღმოსავლეთ კედესთან გამოვლენილი აღმოსავლეთ-

დასავლეთ დამხრობის, (244)-ე და (245)-ე ერთმანეთის პარალელური

ე კედლის დაკარგული ნაწილი მის ჩრდილოეთით ვრცელდებოდა, გამოვა, რომ A თხრილში 2007 წელს გამოვლენილი (212)-ე და (230)-ე ელინისტური ნაგებობების გარდა გამოვლენილია კიდევ ორი ერთმანეთის პარალელური, დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის, მართკუთხა ფორმის ელინისტური ნაგებობის კვალი (სურ. 5). ასევე, დასაშვებია, რომ (187)-ე, (242)-ე, (244)-ე და (245)-ე

საანგარიშო სეზონზე, A თხრილში ელინისტური ნაგებობების მიმდებარედ, სამ, სხვადსხვა, ერთმანეთისგან მოშორებულ ადგილას, კლდის ფლეთილი ქვების გროვები გამოვლინდა (სურ. 7). ორი მათგანი თხრილის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში მდებარეობს, ხოლო მესამე თხრილის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში.




7) კლდის ფლეთილი ძვის ბროშები (232), (234)

სამივე გროვა მეტად ლოკალურ ხასიათს ატარებს და მცირე ფართობზე ვრცელდება, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფენის გაწმენდა სრულად არ დაგვისრულებია, შესაძლოა მათი გავრცელების არეალი კიდევ უფრო გაიზარდოს. აღნიშნული ფენების (232 და 234) ელინისტური ნაგებობების მიმდებარედ,

იმავ დონეზე გამოვლენამ გვაფიქრებინა, რომ ისინი სამშენებლო ნარჩენებს უნდა წარმოადგენდნენ, რომლებიც ნაგებობების გამართვის შემდეგ დარჩათ და რამოდენიმე ადგილას უსისტემოდ მოასწორეს. როგორც ჩანს, კედლებისთვის სამშენებლო მასალად გამოსაყენებელი კლდის ქვა ადგილზე დიდი ლოდების სახით მიჰქონდათ (ასეთები გამოვლინდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში), ხოლო მათი სასურველ ზომებზე დამტვრევის შემდეგ მორჩენილ ნატეხებს იქვე ტოვებდნენ და ასწორებდნენ.

A თხრილში ბოლო სამი სეზონის განმავლობაში აღმოჩენილი ნაგებობების დათარიღებისთვის, მშენებლობის ტექნიკურ-სტილისტური ანალიზის გარდა, მეტად მნიშვნელოვანი, მათ გარშემო გამოვლენილი კულტურული ფენებიდან ამოსული მასობრივი არქეოლოგიური მასალაა. 2008 წლის სეზონზე თხრილზე დაფიქსირდა ორი ძირითადი კულტურული ფენა – (217) და (235), რომლებიც თხრილის დასავლეთ და ჩრდილოეთ მონაკვეთებზე ვრცელდება (სურ. 8). (217)-ე ფენა თხრილის დასავლეთ მონაკვეთზე ვრცელდება და დაახლოებით 30 მ² ფართობს მოიცავს. ფენა შეიცავს მონაცრისფრო-მოყავისფრო შეფერილობის სილიან მიწას, რომელსაც მცირე რაოდენობით დამწვარი თიხის ფრაგმენტები ურევია. გარდა ამისა ფენაში დიდი რაოდენობით გამოვლინდა სამშენებლო კლდის ქვის ნარჩენები, მათ შორის, ზემოთ განხილული (232)-ე ქვების გროვაც ამ ფენაში ლოკალიზდება. ფენაში დიდი რაოდენობით ამოვიდა სამეურნეო და

სამზარეულო კერამიკის (დოქი, ჯამი, დერგი, ქვევრი, ამფორა) ფრაგმენტები, რომელთა სრული უმრავლესობა ელინისტურ ხანას განეკუთვნება და შესაბამისად ფენაც ამავე პერიოდით თარიღდება ანუ ფაქტიურად წარმოადგენს



8) (217)-ე და (235)-ე ფენების ბავრცელების არეალში A თხრილში

(235)-ე ფენა თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში, დაახლოებით 25 მ² ფართობზე ვრცელდება; შეიცავს მოშავო-ქონაცრისფრო შეფერილობის თიხიან, წებოვან მიწას, რომელშიც მცირე რაოდენობით ნახშირის ფრაგმენტები ვლინდება. ისევე, როგორც (217)-ე ფენა დიდი რაოდენობით შეიცავს კლდის ფლეთილი ქვის ნამტვრევებს და თიხის ბათქაშის ფრაგმენტებს, რომლებიც სავარაუდოდ ფენის გარშემო გამოვლენილი (187)-ე, (242)-ე, (244)-ე და (245)-ე ნაგებობების სამშენებლო ნარჩენებს ან/და ნანგრევებს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ (235)-ე ფენის და აღნიშნული ნაგებობების თანადროულობაზე მიუთითებს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ (235)-ე ფენა ელინისტური ნაგებობების შიდა ფართობზე ვრცელდება და შესაძლოა მათ შიდა საცხოვრებელ დონესაც წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ამყარებს ფენაში გამოვლენილი მასიური არქეოლოგიური (ძირითადად კერამიკული) მასალა, რომელიც ელინისტური ხანით თარიღდება და წარმოდგენილია სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის (დოქი, ჯამი, დერგი, ქვევრი, ამფორა) ფრაგმენტებით.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ თხრილზე დაფიქსირებულია ელინისტური ხანის მინიმუმ 4 ნაგებობის ქვის ფუნდამენტი. გარდა ამისა, კიდევ იკვეთება საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი სამი მცირე კედლის ფრაგმენტი, რომელთა კავშირებზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. თუმცა, ფენებში გამოვლენილი მასიური არქეოლოგიური მასალიდან

გამოვლენილი ნაგებობების თანადროულ კულტურულ ფენას (სავარაუდოდ იმ დროინდელ საცხოვრებელ-სასიარულო დონეს). ის დასავლეთის მხრიდან უშუალოდ ემიჯნება 2007 წლის სეზონზე გამოვლენილ (212)-ე და (230)-ე ნაგებობებს და ვრცელდება ამ ნაგებობების საძირკვლების ძირის დონეზე. შესაბამისად მათი თანადროულობა ეჭვს არ იწვევს.

გამომდინარე დანამდვილებით შეიძლება ამ ფრაგმენტების იგივე პერიოდზე, ანუ ზოგადად, ელინისტურ ხანაზე მიკუთვნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლენილი ნაგებობებში მინიმუმ სამი სამშენებლო ფენა გვხვდება, თუმცა არც ერთი მათგანი არ სცდება ელინისტურ ხანის ჩარჩოებს. აღნიშნული ნაგებობების და კულტურული ფენების უფრო ზუსტი დათარიღება, სავარაუდოდ მოხერხდება ნაგებობების სრული გაწმენდვის და მათთან დაკავშირებულ კულტურულ ფენებში (211, 213, 216, 217, 231, 235) გამოვლენილი მასიური კერამიკული მონაპოვრების დათარიღების შემდეგ.

2. საინტერესოა, რომ წლევეანდელ სეზონზე კვლავ გაგრძელდა ელინისტური ნაგებობების მიმდებარედ ამავე ხანის სამარხების გამოვლენა. წელს აღმოჩნდა სულ 5 სამარხი: მათგან ორი კრემაციულია და ორივე შემთხვევაში ჩონჩხი ძალიან ცუდად არის შემონახული; ორი ტიპურ ელინისტური ხანის ორმო სამარხს წარმოადგენს, სუსტად მოხრილი და გვერდზე მწოლიარე მიცვალებულით. მეხუთე სამარხი ექსპედიციის მუშაობის ბოლო დღეებში აღმოჩნდა და მისი წელს გახსნა და გაწმენდა ვერ მოესწრო, შესაბამისად მისი შესწავლა მომავალი წლისთვის გადაიდო. ამ სამარხის კონტექსტის ნომრებია: (254), (255), [256].

2008 წლის სეზონზე აღმოჩენილი და გაწმენდილი 4 სამარხის დეტალური აღწერილობა მოცემულია ქვემოთ:

0801 სამარხი თხრილის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. წარმოადგენს დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის ორმო სამარხს, რომელსაც სამხრეთ და



აღმოსავლეთ მხრიდან კლდის და რიყის ქვების ერთი რიგი შემოუყვება. სამარხის ჭრილის [238] კონტური კარგად არ იკვეთება, ასევე ცუდად არის შემონახული თავად ჩონჩხიც (237). მისი ძვლები ძლიერ არის არეული და შესაბამისად დაკრძალვის წესი არ დგინდება. სავარაუდოდ მიცვალებული ესვენა – ან

9) 0801 სამარხი – (236), (237), [238]

გულადმა გაშოტილი, თავით დასავლკეთისკენ, ან გვერდზე მწოლიარე, მოხრილ მდგომარეობაში. სამარხი ელინისტურ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს, ამას

ადასტურებს მასში აღმოჩენილი ელინისტური ხანის ქოთნის ყურის ნატეხი და ასევე ელინისტური ხანის კულტურული ფენა (235), რომელშიც სამარხი აღმოჩნდა.

0802 სამარხი თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. წარმოადგენს კრემაციულ ორმოს სამარხს, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, ძლიერ დანაწევრებული და ცეცხლისგან გათეთრებული და



10) 0802 სამარხის ინვენტარი (240)

თეთრად და ოქროსფრად შეფერილი პასტის მძივები (სურ. 10). ჩონჩხის კრემაციულობა, მასში გამოვლენილი პასტის მძივები და მის მიმდებარედ არსებული (235)-ე ელინისტური ფენა, სამარხსაც ამავე პერიოდით ათარიღებს.

0803 სამარხი თხრილის ჩრდილოეთ კიდის შუა მონაკვეთში გამოვლინდა წარმოადგენს კრემაციული სამარხს - ამას ადასტურებს გამოვლენილი ჩონჩხის



11) 0803 სამარხი (246), (247), [248]

გამოფიტული ადამიანის ძვლები (241), რომლებიც სამარხში არეულად იყო ჩაყრილი და ფაქტიურად ძვლების გროვას წარმოადგენდა. ასევე ცუდად გამოიკვეთა სამარხის ჭრილის [239] კონტური (სავარაუდოდ მას, დაახ. 60 სმ დიამეტრის, ოვალური ფორმა უნდა ჰქონოდა). სამარხიდან აღებული მიწის სინჯების (№ 3 და

4) გარეცხვის შემდეგ გამოვლინდა ორი ცალი კაჟის ანატკეცი და

თეთრად და ოქროსფრად შეფერილი პასტის მძივები (სურ. 10). ჩონჩხის კრემაციულობა, მასში გამოვლენილი პასტის მძივები და მის მიმდებარედ არსებული (235)-ე ელინისტური ფენა, სამარხსაც ამავე პერიოდით ათარიღებს.

(247) ძლიერი დანაწევრება, შემორჩენილი ძვლები სამარხში უსისტემოდ ყრია; ატყვია ძლიერი ცეცხლის კვალი (გათეთრებულია და მყიფე). სამარხი გაჭრილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით; გარშემო შემოწყობილი ჰქონდა სხვადასხვა ზომის ქვები; მის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე აღმოჩნდა წითელკეციანი, ცუდად

განლექილი თიხის ქოთანის (246). დაკრძალვის წესის და გამოვლენილი ქოთანის ტიპის მიხედვით ეს სამარხიც ელინისტური ხანით დათარიღდა.

0804 სამარხი თხრილის ჩრდილოეთ კიდეზე 0803 სამარხის დასავლეთით 2 მეტრში გამოვლინდა. წარმოადგენს ელინისტური ხანის ტიპურ ორმოსამარხს. ჩონჩხი (253) კარგ მდგომარეობაშია შენარჩუნებული და შესაბამისად



დაკრძალვის წესიც კარგად იკვეთება - მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, სუსტად მოხრილ მდგომარეობაში (ფეხები 90°-ით ჰქონდა მოხრილი), სახით სამხრეთისკენ. სამარხის ჭრილს [251] სამხრეთიდან შემოუყვებოდა სამი ცალი ქვა, ხოლო დასავლეთ მხრიდან, მიცვალებულის ფეხებთან, ვერტიკალურად იდო ერთი ცალი

12) 0804 სამარხი [251], (252), (253)

ბრტყელი, კლდის ქვა. სავარაუდოდ სამარხის ჭრილის ჩრდილოეთ კიდეც ქვებით იქნებოდა შემოწყობილი, თუმცა ჩრდილოეთიდან სამარხს თხრილის კიდე ემიჯნება და შესაბამისად გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით (სურ. 12).

სამარხის გაწმენდვისას, მიცვალებულის ფეხებთან გამოვლინდა რუხად



გამომწვარი პატარა ზომის დოქი, მიცვალებულს მარჯვენა ფეხის კოჭზე ბრინჯაოს ზურგშეხნეკილი სამაჯური ეკეთა. გარდა ამისა თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ორი ცალი ბრინჯაოს საყურე რგოლი, ერთ მათგანს წამოცმული აქვს შავი პასტის მრგვალი მძივი, რომელსაც გარშემო თეთრი ზოლი შემოუყვება. სამარხიდან აღებული მიწის სინჯების (№ 11) გარეცხვისას დამატებით აღმოჩნდა

13) 0804 სამარხის ინვენტარი (253)

46 ცალი მწვანედ და ლურჯად შეფერილი პასტის მძივი (სურ. 13).

მასიური არქეოლოგიური მონაპოვრების გარდა A თხრილზე წლევანდელ სეზონზე აღმოჩნდა რამოდენიმე ცალკე გამოსარჩევი ნივთი. მათ სიას, კონტექსტების, სიღრმეების და კოორდინატების დართვით, გთავაზობთ ქვემოთ:

მონაპოვარის №	კონტექსტი	აღწერილობა	კოორდინატები თხრილში	სიღრმე 0-დან
1	(240)	სპილენძის ფრაგმენტი 0802 სამარხიდან	101.30 / 211.65	- 3.38 მ
2	(217)	ბრინჯაოს ორნამენტირებული სამაჯური	97.97 / 206.31	- 3.64 მ
3	(231)	პასტის ცისფერი მძივი	100.85 / 206.30	- 3.70 მ
4	(235)	წითლად გამომწვარი თიხის ქოთანის	99.55 / 210.25	- 3.68 მ
5	(217)	ბრინჯაოს ფრაგმენტი	98.26 / 206.54	- 3.73 მ
6	(246)	მწვანე ფერის პასტის მძივი	103.00 / 212.60	- 3.37 მ
7	(235)	ქვის სანელსაცხებლის (?) ფრაგმენტი	-	-
8	(213)	სპილენძის ნივთი (გადამდნარი)	104.03 / 203.58	- 3.77 მ
9	(253)	პასტის მძივები 0804 სამარხიდან	101.10 / 212.91	- 3.41 მ
10	(253)	ბრინჯაოს სამაჯური 0804 სამარხიდან	100.58 / 212.88	- 3.39 მ
11	(253)	2 ცალი ბრინჯაოს საყურე 0804 სამარხიდან	101.15 / 212.95	- 3.40 მ

სამუშაოების წარმოების პროცესში A თხრილზე, სხვადასხვა ფენებიდან და სამარხებიდან აღებული იქნა 12 სინჯი პალეობოტანიკური ანალიზების ჩასატარებლად. მათი კვლევის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი იქნება 2008 წლის ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის საერთო ანგარიშში.

A თხრილზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში სულ 4 სამარხი გაიწმინდა.

ორმოსამარხი №1. ცუდად შენახული და არეული ჩონჩხით. დამხრობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ჩონჩხი ან გულადმა ესვენა ან გვერდზე მცირედ მოხრილ მდგომარეობაში. სამარხი შემოსაზღვრული იყო კლდისა და რიყის ქვებით. მასში დაფიქსირდა ელინისტური ხანის ჭურჭლის 1 ცალი ყური. სამარხი უინვენტაროა.

ორმოსამარხი №2. კრემაციული, ჩონჩხი არეულია; მასში აღმოჩნდა 2ც. კაუის ანატკეცი და თეთრი და ოქროსფენილი პასტის მძივები იოტები.

ორმოსამარხი №3. კრემაციული, სავარაუდოდ დასავლეთ-აღმოსავლეთი დამხრობის; ჩონჩხი არეული. სამარხი შემოსაზღვრული იყო ქვებით. მასში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი ქოთანის. განიერი და დაბალი ყელით, მცირედ პირგადაშლილი, თანაბრად გამობერილი კორპუსით. ბრტყელძირიანი და ცალყურა ბრტყელ განიგვეთიანი. პატარა ყური კორპუსის ზედა ნაწილზეა მიძერწილი მრგვალად.

ორმოსამარხი №4. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, სუსტად მოხრილ მდგომარეობაში, პირით სამხრეთისკენ. სამარხი შემოსაზღვრული იყო დიდი ზომის კლდის ქვებით. მასში აღმოჩნდა ერთი ცალი დოქი. ლეგა ფერის, მსხვილმარცვლოვანი, ზედაპირი უხეშად ნაძერწი. პატარა ზომის, დაბალყელიანი და ოდნავ პირგადაშლილი. კორპუსი თანაბრად გამობერილი და ძირისაკენ ოდნავ შევიწროვებული. ბრტყელი ძირით. ბრტყელგანიგვეთიანი ყური ყელსა და მხარზეა ოვალურად მიძერწილი. ცალყურა; ყელისა და მხრის ზედაპირზე სუსტად გამოკვეთილი და უწესრიგოდ განლაგებული ირიბი ხაზების სარტყელია დატანილი. გარდა ამისა სამარხში აღმოჩნდა მწვანე და ლურჯი ფერის პასტის მძივები იოტები.

მიცვალებულს ფეხზე ეკეთა ბრინჯაოს სუსტად ზურგშეზნექილი ერთი ცალი სამაჯური. წვრილი, ოვალურგანიგვეთიანი რკალი, ბოლოები ფანტასტიკური ცხოველის სტილიზებული გამოსახულებით, აგრეთვე 2 ცალი ბრინჯაოს საყურე რგოლი, პატარა ზომის, წვრილღეროვანი, ერთ მათგანზე შავი და მრგვალი მძივია გაყრილი, შუაში თეთრი ზოლით.

აღნიშნული სამარხების სიახლოვეს 217-ე და 235-ე ელინისტური ხანის ფენებში კიდევ ერთი ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი და დოქი დაფიქსირდა. სამაჯური წვრილღეროვანია, წარმოადგენს სეგმენტებად დაყოფილ

ოთხკუთხაგანიკვეთიან რკალს, ფანტასტიკური ცხოველის თავის გამოსახულებიანი დაბოლოებით. სამაჯური ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება.

დოქი წითლად გამომწვარია; არის თხელკედლა; შედარებით კარგად განლექილი; საშუალო ზომის; სამტუნა; დაბალი და ვიწრო ყელით; მრგვალი, მოზრდილი კორპუსით; დოქი პატარა ბრტყელი ძირით მთავრდება; ბრტყელი და განიერი ყური პირის გაგრძელებაა და კორპუსის ზედა ნაწილზე მთ ვრდება. დოქი ცალყურაა.

როგორც დავინახეთ, სამარხეული ინვენტარი ღარიბულია; საერთოდ ელინისტური ხანის (ძვ.წ. III-II სს.) სამარხები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. იგი შემოიფარგლება თითო-ორი კერამიკული ჭურჭლით, მცირე რაოდენობის და სახეობის სამკაულით და უკეთეს შემთხვევაში მონეტით.

სამაჯურები, მცირედ ზურგშეზნექილი, სადა რკალით, თავები ფანტასტიკური ცხოველის თავების გამოსახულებით, დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან მომდინარე მასალით ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდებიან.

საყურე ელინისტური ხანის სამარხთა ინვენტარის თითქმის აუცილებელი ატრიბუტია. საყურე-რგოლები მთელ ანტიკურ სამყაროში ძალზე გავრცელებულია. ხშირ შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ უბრალო რგოლს, უმეტესად თავგახსნილს. ამ მარტივი საყურე-რგოლის გარდა გვხვდება მძივგაყრილი საყურე რგოლები. ზოგჯერ კი რომბისებური საკიდით, მაგრამ ისინი უფრო იშვიათია ნოქალაქევაში 2007 წლის სეზონზე რომბისებურ საკიდიანი საყურე რგოლი დაფიქსირდა, 2008 წელს კი მძივგაყრილი.

საერთოდ ასაეთი საყურეების დათარიღება მხოლოდ აღმოჩენის გარემოების გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

მძივები, სამარხეული ინვენტარის ყველაზე მრავალრიცხოვან კატეგორიას განეკუთვნება. ისინი მთელი ანტიკური ხანისათვისაა დამახასიათებელი. მძივები ძირითადად სამ ჯგუფად ნაწილდება: ქვის სერდოლიკი და ოპალი; მინისა და ბრინჯაოსი. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ჩნდება მინის და პასტის პატარა მძივების აცმა ანუ იოტები. საერთოდ, ამ დროისათვის დამახასიათებელია ნაკლებად ეფექტური მძივები.

ოქროფენილი მძივები კოლხეთში ძვ.წ. III ს-დან ჩნდება.

ელინისტური ხანის კერამიკული ხანის ჭურჭელი ძირითადად სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული. ისინი უფრო შავად ან ლეგადაა გამომწვარი. ორნამენტი თითქმის გამქრალია. წითელკეციანი ჭურჭელი კი იშვიათობას

წარმოადგენს. მათი უმრავლესობა დოქებია. ნაკლებად გვხვდება ქოთნები და ჯამები.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან მომდინარე ამ დროის კერამიკული ჭურჭელი სამ ჯგუფად არის ჩამოყალიბებული:

1. ჭურჭელი, რომელიც წინარეელინისტური ხანის ტრადიციებს აგრძელებს;
2. ჭურჭელი, რომელთა ფორმები ბერძნული კერამიკის გავლენითაა შექმნილი;
3. დოქები, იმ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებიც აღმოსავლეთ ქართული სამყაროს გავლენას უკავშირდება.

სამტეხა დოქებს, ბერძნული წარმოების დოქებს, ე.წ. ოინოხოიას ამსგავსებენ, თუმცა ეს მსგავსება მხოლოდ ფორმალურია. ბერძნული ოინოხოიას სამივე ტუჩიდან ისხმება სითხე, ხოლო ჩვენი ნიმუშიდან მხოლოდ შუა ტუჩს აქვს პრაქტიკული დატვირთვა. არის აზრი, რომ ისინი აღმოსავლეთ სამყაროდან უნდა მომდინარეობდეს. ასეთი დოქები შიდა კოლხეთში მხოლოდ ძვ.წ. III ს-დან ჩნდება და მათ შორის წითელკეციანი უფრო იშვიათია.

აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი ტიპის ჭურჭლის აღმოჩენას ქვეყნის ელინიზაციას უკავშირებენ. ასეთი სამტეხიანი დოქები აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. VI ს-ში ჩნდება და შემდეგ საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას. ჭურჭლის პირის ასეთი ფორმა დამახასიათებელია ურარტული კერამიკისთვისაც, რომელიც, როგორც ირკვევა გენეტიკურად უკავშირდება კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ჭურჭლებს.

ელინისტური ხანის სამარხთა ინვენტარი ხშირ შემთხვევაში არ იძლევა ზუსტად დათარიღების საშუალებას. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მიცვალებულის დაკრძალვის ფორმა და წესი. რადგან იგი უფრო მეტად განსაზღვრავს იმ დროის რელიგიას, ერთ ადგილას სხვადასხვა ტომთა არსებობის დროს და მის ყველაზე კონსერვატიულ ნაწილს წარმოადგენს.

წინა კამპანიების დროს ნოქალაქევის სამაროვანზე, ელინისტური ხანის, სხვადასხვა დაკრძალვის წესის სამარხებია აღმოჩენილი: 1. ორმოსამარხი, ძლიერ მოკრუნხული მიცვალებულით; 2. ქვევრსამარხები და ორმოსამარხები მცირედ მოხრილი ჩონჩხით. დამხრობა ყოველთვის არ არის ერთიდაიგივე, რაც რელიგიის გამოც შეიძლება შეცვლილიყო.

ამ დროს მთელ კოლხეთში დომინირებს ქვევრში დაკრძალვის წესი. ნოქალაქევი კი ორი ფორმა თანაარსებობს. იბერიაშიც იგივე სურათია,

მცირედენი რეგიონალური განსხვავებებით. ჩვენთან ეს მომენტი ნოქალაქევის მდებარეობითაც შეიძლება აიხსნას - რადგან ნოქალაქევი ქვევრსამარხთა გავცელების არეალის უკიდურეს განაპირა ნაწილში აღმოჩნდა, შესაძლოა რომ იქ ქვევრში მიცვალებულის ჩასვენების წესი შედარებით გვიან პერიოდში შევიდა და შესაბამისად სრულად დამკვიდრება ვერ მოასწრო, შესაძლოა სწორედ ამ ფაქტით აიხსნას ნოქალაქევი სხვადასხვა ტიპის სამარხების თანაარსებობა.

საანგარიშო წელს ნოქალაქევი დაკრძალვის ახალი წესი დაფიქსირდა კრემაცია. ერთიდაიმავე ფართობზე და ფენაში აღმოჩენილი 4 სამარხიდან ორი კრემაციულია და ორიც ორმოსამარხი, კანონიზირებული დაკრძალვის წესით მცირედ მოხრილი და მარცხენა გვერდზე დასვენებული.

კიდევ ერთი ნიშანი სამარხის ფორმისა, რომელიც მათ აიგივებს ადრე აღმოჩენილ ორმოსამარხებთან, ესაა მისი ქვებით შემოსაზღვრა. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ფორმა ალბათ უფრო კერამიკულ (ამფორა, ქვევრი) სამარხებს მიესადაგება, მათი გამაგრების მიზნით. ხოლო, ორმოსამარხის შემთხვევაში ეს ფორმა მისაღები არ უნდა იყოს, თუ რა თქმა უნდა, ეს სამარხის მონიშვნის მიზნით არ იყო განპირობებული, მით უმეტეს, რომ ეს ფორმა კრემაციულ სამარხებზეც დაფიქსირდა. შესაძლოა საქმე გვქონდეს სამარხის მოწყობის ერთ-ერთ საერთო წესთან.

კრემაცია, როგორც დაკრძალვის ერთ-ერთი ფორმა წინარეანტიკური დროიდანაა ცნობილი სოხუმის წინარეანტიკური ხანის სამარხებში. უფრო გვიანდელი პერიოდიდან კი წებელდის კრემაციული სამარხებია ცნობილი. იგი ადრეულ შუა საუკუნეებამდე არსებობს. ძვ.წ. IX საუკუნის ბოლოსთვის კოლხეთში ორი კულტურული არეალი ისახება ჩნდება შავი ზღვისპირა ზოლი და ქვეყნის ცენტრალური რეგიონება. ეს კი, დაკრძალვის წესის რადიკალურ ცვლილებებშიც აისახება.

იყო ვარაუდი იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში კრემაციამ თითქოს შეცვალა ქვევრსამარხები. შემდეგმა გამოკვლევებმა კი აჩვენა, რომ კრემაცია რომაულ ხანაში უკვე წესად შემოდის, თანაც არა მარტო ზღვის პირეთში, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ეს მაშინ, როდესაც კვლავ არსებობენ ქვევრსამარხები.

მაგალითისათვის გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში ჩანს მიცვალებულის ქვევრში დამარხვა, ასევე ორმოსამარხებშიც, არის კრემაციაც, ფერფლის ნივთებთან ერთად თიხის ურნებში დაფლვა და ქვის სამარხები.

დაკრძალვის ეს სახეები იმდენად თანადროულია, რომ ძნელი სათქმელია ერთმა მეორე შეცვალო. ამ დროისათვის ეს წესები დამოუკიდებლად ერთი მეორის გვერდით არსებობდა და ისინი მხოლოდ ქრისტიანულ ხანაში გაქრა.

ნოქალაქეში, საანგარიშო პერიოდში აღმოჩენილი ელინისტური ხანის ნაგებობები და მათთან მიმართებაში მეოფი სამარხთა ახალი ტიპები ამფორა სამარხი, კრემაციული სამარხი ისევ აყენებენ საკითხს მათი თანაარსებობის შესახებ ტრადიციულ ორმო და ქვევრსამარხებთა ერთად.

საანგარიშო პერიოდში გათხრილი თხრილის კულტურული ფენა ძირით დად ორი პერიოდისაა: ელინისტური და ადრე ანტიკური.

ელინისტური დროის ნიმუშები რაოდენობრივად და თვისობრივადაც უფრო მეტია. ყავისფრად და ლეგად გამომწვარი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები ძირითადად მოიცავს პატარა ზომის ქოთნებს, კოჭობებს და მცირედ პირგაშლილ ჭურჭლის ფრაგმენტებს.

ნიშანდობლივია ამ ფენაში დაფიქსირებული ქვევრის კორპუსის ფრაგმენტი, რომლის ზედაპირიც სხვადასხვა კონფიგურაციით განლაგებული ქედებითაა შემკული, რომლებიც ნოქალაქეში აღმოჩენილი ქვევრსამარხების იდენტურია. ეს შეიძლებაერთგვარი მინიშნებაც კი იყოს, შემდგომში აქვე ამ ტიპის სამარხების აღმოჩენებისა.

შემდეგი ფენა უფრო მცირერიცხოვანი ნიმუშებითაა წარმოდგენილი, ამ პერიოდისათვის უფრო დამახასიათებელი - ქვევრის, ქანდაკების, ყურმილიანი დოქის, საწყაურისა და სასმისების სახით. კოლხეთში ძნელად თუ მოიპოვება ამ პერიოდის ძეგლი, იქნება ის ნამოსახლარი თუ სამაროვანი, რომ არ შეიცავდეს ასეთ ნიმუშებს.

ქვევრი უკვე ადრეანტიკური ხანიდან ჭურჭლის ერთ-ერთი სახეობის წამყვანი ფორმაა. იგი წარმოდგენილია კორპუსის და ყელ-ყურის ფრაგმენტებით, რომელთა გვირგვინი ან მხრის ზედა ნაწილი რომბული ორნამენტითაა შემკული ან ყელსა და ყურის ზედა ნაწილზე წრიული დანაძერწებია დატანილი.

საწურის ნატეხი, ლეგად გამომწვარი, უხეშად ნაძერწი, სამზარეულო კერამიკის ყველაზე მცირერიცხოვან ნაწარმს წარმოადგენს. შემორჩენილი ფრაგმენტი მის ფორმას ვერ განსაზღვრავს.

ყურმილიანი დოქები, საერთოდ ძვ.წ. VI-IV სს-ის ნაწარმს წარმოადგენს და ორი ტიპისაა ცნობილი. განსხვავება მხოლოდ ზომებშია და მცირე რაოდენობითაც ჩნდება. ყურმილიანი დოქების ფრაგმენტები დასავლეთ

საქართველოს ზოგ ძეგლზე ძვ.წ. VI-III სს-ითაც თარიღდება. ჩვენი ერთი ფრაგმენტი ძალზე მინიატურული ტუჩის ნატეხის სახით წარმოდგენილი, არის ღია ფერის. თავისი იერსახით ის შეიძლება ძვ.წ. VI-III სს-ს მივაკუთვნოთ. არის ასევე ზოომორფული ყურის რამდენიმე ნატეხი, რომლებიც უფრო წინარე ანტიკურ ხანას მიეკუთვნება.

ყველა ჩამოთვლილი ჭურჭლის სახეობა (ქვევრი, საწური, ყურმილიანი დოქი) ადრეანტიკური კოლხური კერამიკის განუყოფელ და ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

სულ მცირე ფრაგმენტებითაა არის წარმოდგენილი გვიან რომაული - ადრე ქრისტიანული ხანის კერამიკის ნიმუშები, თუმცა ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ამ თხრილის ზედა ფენები წინა წლებში იყო მოხსნილი.

ნოქალაქევის სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიაში
2008 წლის ზაფხულში მიმდინარე პროექტები

შინაარსი:

1. ქართულ-ინგლისური ენციკლოპედიის მიერ 2008 წლის სეზონზე აღმოჩენილი მასალის რესტავრაცია-კონსერვაცია
 - 1.1 კერამიკა
 - 1.2 ლითონი
 - 1.3 მინა და ძვა
 - 1.4 ღანაბრობი
2. ძმენაპის და ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცული 15 არქეოლოგიური მონაკრები ობიექტის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები
 - 3.1 ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის 10 არქეოლოგიური მონაკრები ობიექტის რესტავრაცია-კონსერვაცია
 - 3.2. ძმენაპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 5 არქეოლოგიური მონაკრები ობიექტის რესტავრაცია-კონსერვაცია

2008 წელს „2001-2010 ქართულ-ინგლისური საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია - <http://www.nokalakevi.org>“ – პროექტის ფარგლებში (პროექტის ხელმძღვანელი პროფ. დ.ლომიტაშვილი ნოქალაქევის სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიაში ოთხი პროექტი იქნა განხორციელებული.



1. 2008 წლის სეზონზე აღმოჩენილი მასალის კონსერვაცია-რესტავრაცია

მიმდინარე პროექტის ხელმძღვანელი : ისტ.მეცნ დოქტორი - ნინო ქებულაძე
ასისტენტი : რესტავრატორი - ნათია ძიგუა

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2008 წლის სეზონზე მოპოვებული მასალა მთლიანად 2006 წელს ნოქალაქევის ბაზაზე დაარსებულ საველე-საკონსერვაციო ლაბორატორიაში იქნა დამუშავებული.

აღმოჩენების დამუშავებისას გამოიყენებოდა თანამედროვე მსოფლიო სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებული მეთოდები და მასალები.

1.1. კერამიკა

კერამიკული მასალა ადგილზევე იქნა გაწმენდილი. კარგად გამშრალი მასალა ჩალაგებულ იქნა სუფთა, ეტიკეტირებულ ტოპრაკებში და განლაგებული თაროებზე. მოპოვებულ მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამშენებლო მასალა, რომელმაც ასევე მხოლოდ ფრაგმენტული სახით მოაღწია ჩვენამდე.



ფრაგმენტები სხვადასხვა ფერის არის, რაც თიხის ხარისხსა და გამოწვის ხასიათსა და ტემპერატურაზეა დამოკიდებული. ძირითადად არის ბაცი ყავისფერი, წითელი ან შავი ფრაგმენტები. განსხვავებულია წარმოდგენილი კერამიკული მასალის სისქეც.




კერამიკის ფრაგმენტები კონტექსტების მიხედვით მთლიანად იშლებოდა, ხარისხდებოდა და ერთი ჭურჭლის ფრაგმენტების მოძიების შემთხვევაში ხდებოდა მათი შეწებება.



კერამიკული მასალის ნაწილით, რომელიც ნოქალაქევიშივე იქნა გარეცხილი, გამშრალი, გადარჩეული და გატარებული შეივსო ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდი.

დანარჩენი კერამიკული მასალა სხვა განათხარ - ლითონის, მინის, ძვლის ნივთებთან და ადამიანის ძვლოვან მასალასთან ერთად ნოქალაქევის ლაბორატორიაში რესტავრაცია-კონსერვაციის შემდეგ ტრანსპორტირებულ იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში.



სამარხეული კერამიკული ჭურჭლიდან მიწისა და სხვა მექანიკური ნადების მოცილების მიზნით თითოეული ნატეხი გავრეცხეთ ჯაგრისის საშუალებით. დროდადრო ვცვლიდით წყალს. დასასრულ დავაწყვეთ სპეციალურ თაროებზე და გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე. განათხარი კერამიკული მასალიდან

სრულად აღდგა რამოდენიმე ჭურჭელი. ამ მასალის რესტავრაციის მსვლელობა ცალკეა გამოყოფილი :

1. ნივთის დასახელება: **მარღულაპირიანი ჭურჭელი**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და

საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,

ნოქალაქევის ფონდი.



4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი

ჭურჭელი in-situ

თხრილი A, უბ. XXX, კონ. №235, 2008წ., ივლისი

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

ჭურჭელი იყო დამტვრეული (ც. ფრაგმენტი). დაფარული იყო მიწითა და სხვადასხვა ნადებით. თიხა აგურისფრად გამომწვარი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

ჭურჭლის ფრაგმენტები მოვათავსეთ გამოსხილ წყალში და რბილი ჯაგრისის საშუალებით გავწმინდეთ. პერიოდულად წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.

ჭურჭლის აღდგენა მოვახდინეთ პოლივინილ-აცეტატის წებოთი.

ნაკლები ადგილები შევავსეთ თაბაშირით



გამოყენებული მასალა:

1. გამოსხილი წყალი;
2. პოლივინილაცეტატი;
3. თაბაშირი.

ჭურჭელი რესტავრაციის შემდეგ

1. ნივთის დასახელება: **ქოთანო**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,
ნოქალაქევის ფონდი.

4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,



ქოთანო in-situ

თხრილი A, უბ. XXX, სამარხი №0803, კონტექსტი №246, 2008 წელი, ივლისი



ქოთანო რუსთავერაციამდე


5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:
ქოთანი იყო დამტვრეული (59ც. ფრაგმენტი).
დაფარული იყო მიწითა და სხვადასხვა
ნადებით. თიხა აგურისფერად გამომწვარი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

ქოთნის ფრაგმენტები მოვათავსეთ
გამოხდილ წყალში და რბილი ჯაგრისის
საშუალებით გავწმინდეთ. პერიოდულად
წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ
ოთახის ტემპერატურაზე.

ქოთნის აღდგენა მოვახდინეთ
პოლივინილ-აცეტატის წებოთი.

ნაკლული ადგილები შევავსეთ
თაბაშირით



ქოთანო რუსთავერაციის შემდეგ

გამოყენებული მასალა:

1. გამოხდილი წყალი;
2. პოლივინილაცეტატი;
3. თაბაშირი.

1. ნივთის დასახელება: **ქოთანო**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,
ნოქალაქევის ფონდი.

4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,



ქოთანო in-situ

თხრილი A, უბ. XXX, სამარხი №0804,
კონტექსტი №252, 2008 წელი, ივლისი



ქოთანო რესტავრაციაზე

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:
ქოთანო იყო დამტვრეული (28ც. ფრაგმენტი).
დაფარული იყო მიწითა და სხვადასხვა
ნადებით. თიხა რუხად გამომწვარი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

ქოთანის ფრაგმენტები მოვათავსეთ გამოსხივ
წყალში და რბილი ჯაგრისის საშუალებით
გავწმინდეთ. პერიოდულად წყალს ვცვლიდით.
დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.

ქოთანის აღდგენა მოვახდინეთ პოლივინილ-
აცეტატის წებოთი.

ნაკლები ადგილები შევავსეთ თაბაშირით



ქოთანო რესტავრაციის შედეგად

გამოყენებული მასალა:

1. გამოსხივი წყალი,
2. პოლივინილაცეტატი,
3. თაბაშირი

1.2. ლითონი

2008 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ლითონის მასალაში წარმოდგენილია რკინისა და ბრინჯაოს არტეფაქტები. ბრინჯაო დაფარული იყო მიწით, სხვადასხვა მექანიკური ნადებითა და პატინით. რკინის ნივთები დაფარულ იყო რკინის ჟანგეულებით, მიწითა და სხვადასხვა მექანიკური ნადებით. ამდენად საჭირო იყო ამ მასალის დამუშავება და შემდგომი კონსერვაცია. ძირითადად, ყველა ნივთი გაწმენდილ იქნა დღეს მსოფლიო სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებული მექანიკური წმენდის მეთოდებით.

ბოლოს კონსერვირებული ნივთები შეფუთულ იქნა აღმოჩენების პირველადი დახმარების მეთოდიკებით და მოთავსებულ იქნა სპეციალურ ყუთში, შესაბამის ფარდობით ტენიანობაზე, რომლის კონტროლიც სილიკაგელისა და ინდიკატორული ბარათის დახმარებით ხორციელდებოდა.

ნივთებზე ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტაცია მასალის მიხედვით ჯგუფებადაა წარმოდგენილი:

1. ნივთის დასახელება: 1. გდნ შრაბმენტი 2. შრაბმენტაპი 10ც 3. ღეროს შრაბმენტი 4. სამაჯურის შრაბმენტი ; 5. წილა

2. მასალა: ბრინჯაო

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, ნოქალაქევის ფონდი, საველე ნომერი 1. №5; 2. №1; 3. უნომრო; 4. №2; 5. №8

4. მოპოვების ადგილი და თარიღი

სენაკის რ-ნი, სოფ.ნოქალაქევი, თხრილი A, უბ.XXX, კონტექსტი 1.№217 2.№240 3.№235 4.№217; 5.№213, 2008 წლის ივლისი

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

ნივთები დაფარული იყო მიწითა და სპილენძის ჟანგეულით.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

მექანიკური ნადებისა და მიწის მოსაშორებლად ნივთები მოთავსებულ იქნა სპირტში და რბილი ჯაგრისით გაიწმინდა. ბინოკულარის ქვეშ მექანიკურად გაწმენდის შემდეგ, გაპრიალდა ბორმანქანაზე დამაგრებული ჯაგრისით. სამაჯურის ფრაგმენტს აღმოაჩნდა კარგი პატინით დაფარული ზედაპირი. სამუშაოების დასრულების შემდეგ მასალა დაიფარა პარალოიდ B72-ის აცეტონსნარით. გამოყენებული მასალა: 1. სპირტი; 2. აცეტონი, 3. Paraloid B72

1. ფრაგმენტი



2. ფრაგმენტები



3. ფრაგმენტი



4. სამაჯური ფრაგმენტი



5. სამაჯურის ფრაგმენტი



1. ნივთის დასახელება: **სამაჯური**

2. მასალა: ბრინჯაო

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი, ნოქალაქევის
ფონდი, საველი №10



სამაჯური in-situ

4. მოპოვების ადგილი და თარიღი

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი, თხრილი
A, სამარხი №0804, კონტექსტი №253,
2008წლის ივლისი



სამაჯური რმსტავრაციამდე

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

სამაჯური წამოცმული იყო ჩონჩხის ხელზე და მას მიწა ამაგრებდა. სამაჯური იყო სამად გატეხილი და ძლიერ დაზიანებული.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

საჭირო იყო სამაჯურის ფრთხილი განთავისუფლება მიწისაგან, ამისათვის ის მოვათავსეთ სპირტიან ჭურჭელში და წკირებითა და რბილი ჯაგრისით და სამაჯური ნელ-ნელა გაიწმინდა.



სამაჯური დამუშავების შემდეგ

შემდეგ სამაჯური გაიწმინდა ბინოკულარის ქვეშ. სამაჯური მთლიანად ავი პატინით იყო დაფარული. ბოლოს ბორმანქანაზე დამაგრებული რეზინით გაპრიალდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ მასალა დაიფარა პარალოიდ b72-ის აცეტონხსნარით.


გამოყენებული მასალა: 1. სპირტი; 2. აცეტონი, 3. Paraloid B72

1. ნივთის დასახელება: **საყურე 2ც**

2. მასალა: ბრინჯაო

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი, ნოქალაქევი-
ჭაქვინჯა-გუდავას ფონდი, საველე №11



2ც საყურე in-situ

4. მოპოვების ადგილი და თარიღი

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი, თხრილი A,
სამარხი №0804, კონტექსტი №253, 2008წლის
ივლისი



2ც საყურე რესტავრაციამდე

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

ორივე საყურე იყო ძლიერ კოროზირებული და ფარული სპილენძის
უანგეულებით და მიწით. ერთი მათგანი არის მძივიანი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

საჭირო იყო ორივე საყურის ფრთხილი განთავისუფლება მიწისაგან, რომ
არ გატეხილიყო, ამისათვის ისინი ცალ-ცალკე
მოვათავსეთ სპირტიან ჭურჭელში და წკირებითა
და რბილი ჯაგრისით ნელ-ნელა გაიწმინდა.

შემდეგ ორივე საყურე გავწმინდეთ
ბინოკულარის ქვეშ. ბოლოს ბორმანქანაზე
დამაგრებული რეზინით. სამუშაოების
დასრულების შემდეგ მასალა დაიფარა
პარალოიდ B72-ის აცეტონსნარით.



2ც საყურე დამუშავების შემდეგ

გამოყენებული მასალა: 1. სპირტი; 2. აცეტონი, 3. Paraloid B72

1. ნივთის დასახელება: **ღეროს შრამბენტი**

2. მასალა: რკინა

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი, ისტორიის მიმართულების შუასაუკუნეების არქეოლოგიის ნოქალაქევი-ჭაქვინჯა-გუდავას ფონდი.



რმსტავრაციამდე

4. მოპოვების ადგილი და თარიღი: სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი, თხრილი A, კონტექსტი 240, 2008 წლის ივლისი.

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა

არტეფაქტი მთლიანად დაფარული იყო რკინის ოქსიდებით, სხვადასხვა მექანიკური ნადებითა და მიწით.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

მექანიკური ნადებისა და მიწის მოსაშორებლად ნივთი მოთავსებულ იქნა სპირტში და რბილი ჯაგრისით გაიწმინდა. ამის შემდგომ ფორმისა და ორიგინალი ზედაპირის დასადგენად ნივთის დამუშავება განვაგრძეთ ლანცეტითა ბორმანქანით ბინოკულარის ქვეშ. სამუშაოების დასრულების შემდეგ დანას ჩაუტარდა კონსერვაცია პარალოიდ B72-ის აცეტონხსნარით.



რმსტავრაციის შემდეგ

გამოყენებული მასალა:

1. სპირტი; 2. Paraloid B72; 3. აცეტონი

1.3 მინა და ქვა

მინის მასალა მძივების სახით უხვად იყო წარმოდგენილი. მინა ნაწილობრივ ირიზირებული გახლდათ.

1. ნივთის დასახელება:

1. მძივები 14ც; 2. მძივი; 3. მძივები 46ც; 4. კაუის ანატომიები 3ც.

2. მასალა: მინა და კაუი

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი, ნოქალაქევი-ჭაქვინჯა-გუდავას ფონდი. შაველე №: 1.№4; 2.№6; 3.№9; 4.უნომრო

4. მოპოვების ადგილი და თარიღი

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი, თხრილი A, კონტექსტი 1. 240; 2. 246; 3. 253.
4. 235-1ც; 213-2ც

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

მძივები ზედაპირულად იყო ირიზირებული

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:


მიწის მოსაშორებლად მძივები მოთავსებულ იქნა სპირტში და რბილი ჯაგრისით სათითაოდ გაიწმინდა. გაწმენდილი მძივები კონტექსტების მიხედვით აცმულ იქნა ძუის ძაფზე. სამუშაოების დასრულების შემდეგ მძივები დაიფარა პარალოიდ ბ72-ის აცეტონსნარით.

გამოყენებული მასალა: 1. სპირტი; 2. Paraloid B72; 3. აცეტონი


1.



2.



3.



4.



ყველა რესტავრირებულ ნივთზე შეიქმნა სარესტავრაციო სამუშაოებისა და გამოყენებული მასალის ამსახველი ბარათები. (იხ. დანართი)

2. ქსენაკის და ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცული 15 არქეოლოგიური მოძრავი ობიექტის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები

მიმდინარე პროექტის ხელმძღვანელი : ისტ.მეცნ დოქტორი - ნინო ქებულაძე
